

თამარ მახარობლიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge
ლეა ნეში
უნივერსიტეტი პარიზი 8, საფრანგეთი

„სამხრეთ კავკასიური ცარცის წრე 3“ (SCCC-3)

2023 წლის 2-4 ოქტომბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ლინგვისტური კონფერენცია “სამხრეთ კავკასიური ცარცის წრე 3“ (SCCC-3) და ამავე ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ლინგვისტთა საერთაშორისო საშემოდგომო სკოლაც (<https://linguistics.iliauni.edu.ge/>). ეს სასწავლო-კვლევითი ფორუმი არის კომბინირებული ღონისძიება, რომელსაც 2016 წელს პარიზში ჩაეყარა საფუძველი და შედარებით მცირე სამუშაო შეხვედრებით გაგრძელდა ჩრდილოეთ ამერიკაში, ხოლო 2018 წელს თბილისში შედგა „სამხრეთ კავკასიური ცარცის წრის“ მეორე კონფერენცია. პანდემიის დროს დაწესებული შეზღუდვების გამო მცირე ხნით შეფერხდა ღონისძიების ჩატარება, თუმცა 2023 წელს შესაძლებელი გახდა SCCC-3 ფორუმის გაგრძელება პირისპირ ფორმატში.

SCCC-3-ის მიზანი იყო ადგილობრივი ქართველოლოგიური კვლევების დაახლოების ხელშეწყობა თანამედროვე ლინგვისტურ მეთოდოლოგიურ ჩარჩოსთან, ასევე უცხოეთის კვლევით ცენტრებსა და უნივერსიტეტებში მიმდინარე საენათმეცნიერო თუ ფილოლოგიურ დისკუსიებში ქართველოლოგიური მასალის აქტიურად ჩართვა; ამასთანავე, მდიდარი ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის რეაქტუალიზაცია, ქართველ ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართვა საერთაშორისო კვლევებში და უცხოელ ახალგაზრდა მეცნიერთა შორის ქართველური ენების, როგორც უმდიდრესი საკვლევი მასალის, პოპულარიზება.

აღნიშნული პლატფორმის ამოცანები იყო:

- ქართველოლოგიის განვითარებისათვის საჭირო თანამშრომლობითი სივრცეების შექმნა საქართველოსა და მსოფლიოს წამყვან კვლევით ცენტრებში;

- ენათმეცნიერების დარგში ადგილობრივ და უცხოელ, როგორც ახალგაზრდა, ასევე გამოცდილ ქართველოლოგებს შორის დიალოგისთვის ხელის შეწყობა;
- ახალგაზრდა მეცნიერებისათვის შესაძლებლობების მიცემა, რომ ისინი გასცნობოდნენ მსოფლიოს წამყვანი ენათმეცნიერების შრომებს როგორც ქართველოლოგიის, ასევე ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგების მიმართულებით;
- შესაძლებლობის მიცემა ქართველი მკვლევარებისთვის, რომ მოესმინათ წამყვანი უცხოური უნივერსიტეტების პროფესორ-მკვლევართა სემინარები თანამედროვე მეთოდოლოგიური მიდგომებისა და აქტუალური საკვლევო პრობლემების შესახებ;
- ქართველოლოგიური კვლევების პოპულარიზებისთვის ხელის შეწყობა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

ლონისძიების მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, კონფერენცია და საშემოდგომო სკოლა მოიცავდა მრავალ ლინგვისტურ სფეროს: ქართველური ენები (ქართული, სვანური, ლაზური, მეგრული), ბასკური, საფრთხეში მყოფი ენები, ენის განვითარება, ბილინგვიზმი, ყესტური ენები, ნეიროლინგვისტიკა, მორფოლოგია, ფონოლოგია, სინტაქსი, ლექსიკოგრაფია და ლექსიკოლოგია, ენობრივი მემკვიდრეობა, დიალექტოლოგია, ტიპოლოგია, კორპუსის ლინგვისტიკა და ენის ათვისება.

ცხადია, რომ ახალგაზრდა ქართველი მკვლევარებისა და ასევე სტუდენტებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ენათმეცნიერების განსხვავებული დარგების შესახებ ამ ტიპის მაღალკვალიფიციური ლექციების მოსმენას, ეს მათ ეხმარება საკვლევო სფეროების სწორად შერჩევაში, ასევე სამეცნიერო დიაპაზონის გაფართოებაში. როგორც უკვე აღინიშნა, ლონისძიების პირველი ეტაპი დაეთმო კონფერენციას, რომელზეც მოხსენებები წაიკითხეს ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა, შედგა პოსტერების პრეზენტაციები და ჩატარდა ტუტორიალები. კონფერენცია გაგრძელდა საშემოდგომო სკოლით, რომლის ფარგლებშიც საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე მეცნიერები უძღვებოდნენ კურსებს ლინგვისტიკის სხვადასხვა სფეროში. აღნიშნულმა კონფერენციამ და შემოდგომის სკოლამ შექმნა დიალოგის საშუალება ადგილობრივ და უცხოელ ქართველოლოგებს შორის, შესაძლებლობა მისცა ახალგაზრდა მეცნიერებსა და დოქტორანტებს, ერთ სივრცეში გასცნობოდნენ მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების მკვლევართა ნაშრომებსა და უახლეს მიდგომებს, მათ შორის ენათმეცნიერების ისეთ სფეროებშიც, რომლებიც საქართველოში ჯერ არ ისწავლება.

კონფერენციასა და შემოდგომის სკოლაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს ათეულობით წამყვანი უნივერსიტეტის პროფესორებმა და ახალგაზრდა მკვლევრებმა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პოლიპერსონალური გრამატიკული სისტემების მორფოლოგიისა და მორფოსინტაქსის საკითხებს. წინა შეხვედრების მსგავსად, ღონისძიება მოიცავდა ტუტორიალებს, პრეზენტაციებსა და პოსტერ სესიებს, რამაც არაფორმალური დისკუსიისთვის უფრო დიდი სივრცე შექმნა. „სამხრეთ კავკასიური ცარცის წრე 3“ ასევე მასპინძლობდა ტუტორიალებს ბილინგვიზმის, ბავშვთა განვითარებისა და ექსპერიმენტული ლინგვისტური კვლევების შესახებ.

აღნიშნული კონფერენცია ჩატარდა ჰიბრიდულ ფორმატში. ახალგაზრდა ქართველ მკვლევრებსა და სტუდენტებს შეეძლოთ ენათმეცნიერების განსხვავებული დარგების შესახებ მაღალკვალიფიციური ლექციების მოსმენა და საერთაშორისო პროფესიული კონტაქტების დამყარება. ქართველ ენათმეცნიერებთან ერთად ღონისძიებაში მონაწილეობდნენ პროფესორები და დოქტორანტები შემდეგი ამერიკული და ევროპული უნივერსიტეტებიდან და კვლევითი ცენტრებიდან: მერილენდის უნივერსიტეტი (აშშ); უნივერსიტეტი პარიზი 8 (საფრანგეთი); CNRS – კოტ დაზურის უნივერსიტეტი, IKER. ბაიონი (საფრანგეთი); სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტი (აშშ); პარიზის უნივერსიტეტი (საფრანგეთი); ნეგევის ბენ-გურიონის უნივერსიტეტი (ისრაელი); ბოლაზიჩის უნივერსიტეტი (თურქეთი); მილანის ბიკოკას უნივერსიტეტი (იტალია); პოლ ვალერის უნივერსიტეტი, მონპელიე 3 (საფრანგეთი); ჩიკაგოს უნივერსიტეტი (აშშ); CNRS, SFL, პარიზი (საფრანგეთი); ბარ-ილანის უნივერსიტეტი (ისრაელი); რაისის უნივერსიტეტი ჰიუსტონი, ტეხასი (აშშ); კალიფორნიის უნივერსიტეტი (აშშ); მონრეალის უნივერსიტეტი (კანადა); ლონდონის დედოფალ მერის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი); ტორონტოს უნივერსიტეტი (კანადა); ფლორენციის უნივერსიტეტი (იტალია); ნანტის უნივერსიტეტი (საფრანგეთი).

კონფერენციის პირველი დღე მოიცავდა ენათმეცნიერების შემდეგ სფეროებს: ფესტური ენები, ენობრივი მემკვიდრეობა, ქართველოლოგიური კვლევები და პოსტერების პრეზენტაცია. კონფერენცია მისალმებით გახსნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ენათმეცნიერმა ნინო დობოროჯგინიძემ, რის შემდეგაც წარმოდგენილი იყო მოხსენება „ფესტური ენის კვლევები საქართველოში“ (მახარო-ბლიძე, ნანიტაშვილი). ღონისძიება გაგრძელდა ტუტორიალებითა და ლექციებით. წარმოდგენილი იყო ტუტორიალი მემკვიდრული ენების შესახებ (ნატალია მეირი და მარია პოლინსკი), ტუტორიალი სვანური

მორფოლოგიის შესახებ (დევიდ ერშლერი). ლექცია ბასკური ენის შესახებ (რიკარდო ერეპარე). პარალელურად შესვენებებზე მოეწყო პოსტერების პრეზენტაციები. კონფერენციის მეორე დღეს პირველი მოხსენება წარმოადგინა ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა ჯოანა ნიკოლსმა, შემდეგ კი ბალქიზ ოზტურკმა, ომერ დემიროკმა და ომერ ერენმა გამართეს ტუტორიალი ლაზური ენის შესახებ, იოანა ჩიტორანმა და კეროლან კრაჟმა ჩაატარეს ტუტორიალი ფონოლოგიაში, შემდეგ კი სვანური ფონოლოგიის შესახებ ტუტორიალი წარადგინეს ფრანგმა პროფესორმა ჟან ლეო ლეონარდმა და იდიან შიმ. პარალელურად შესვენებებზე მოეწყო პოსტერების პრეზენტაციები. დღის ბოლოს მოხსენება კომპიუტერული ლინგვისტიკის სფეროში წაიკითხა ირინა ლობჟანიძემ. კონფერენციის ბოლო დღეს კონფერენცია გაიხსნა ცნობილი ქართველოლოგის, ქვეინ თუითის მოხსენებით ქართველურ ენათა კვლევების შესახებ. შემდეგ თინათინ მარგალიტაძემ ჩაატარა ტუტორიალი ლექსიკონის შესახებ; ფრანგი სპეციალისტები, ფოლი და ნეში კი გაუძღვნენ ტუტორიალს სინტაქსის შესახებ. შემდგომ რუსუდან გერსამიამ და ირინა ლობჟანიძემ წარმოადგინეს ტუტორიალი საფრთხეში მყოფი ენის – მეგრულის შესახებ. ბრუნვის თეორია და არგუმენტების სტრუქტურა ქართულში იყო ახალგაზრდა ქართველი მკვლევრის, სვეტლანა ბერიკაშვილის მოხსენება.

ლინგვისტთა საშემოდგომო სკოლაში უცხოელმა პროფესორებმა ენათმეცნიერების სხვადასხვა მიმართულებებში წაიკითხეს შემდეგი კურსები: ენის განვითარება (მარია ტერეზა გუასტი), ნეიროლინგვისტიკა (კურსი კარლო ჩეკეტო და მაურო ვიგანო), ბილინგვიზმის გრამატიკული ასპექტები (მარია პოლინსკი და ნატალია მირი), ჟესტური ენების ტიპოლოგია (მარია ანე სალანდრე) და მორფოლოგიის კურსი (მოჰამედ ლარაუკი).

ლონისძიების მიწურულს გაიმართა კონფერენციისა და ლინგვისტთა საშემოდგომო სკოლის დახურვის ღონისძიება და მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები. მონაწილეებმა და დამსწრეებმა შეაფასეს პროცესი და ერთხმად აღნიშნეს, რომ ჩატარებული ღონისძიება იყო საკმაოდ მაღალი კლასის.